



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის

სამაგისტრო პროგრამების დებულეზა

თბილისი,
2023 წელი

მუხლი 1. სამაგისტრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციები

- 1.1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდეგში - უნივერსიტეტი) შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე სტუდენტს ენიჭება იმავე პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.
- 1.2. სტუდენტს აკადემიური ხარისხი ენიჭება შესაბამისი მიმართულების სკოლის საბჭოს მიერ, რომლის შემადგენლობაც მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 2. აკადემიური რეგისტრაცია

- 2.1. აკადემიური რეგისტრაცია არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ არჩევით, აღსადგენ, შეფასების გაუმჯობესების მიზნით გასავლელ საგნებზე.
- 2.2. აკადემიური რეგისტრაციის პროცედურას განსაზღვრავს შესაბამისი სკოლის ადმინისტრაცია.
- 2.3. შესაბამის სემესტრში სავალდებულო საგანზე რეგისტრაცია ავტომატურად ხდება მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის სემესტრში/მოდულში, პრერეკვიზიტების (წინაპირობების) დაცვით.
- 2.4. არჩევით საგნებზე რეგისტრაცია ხორციელდება კონკრეტულ სემესტრში/მოდულში.
- 2.5. ამ დებულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებულ სასწავლო კურსზე რეგისტრაცია უნდა დასრულდეს შესაბამისი სემესტრის/მოდულის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, რაც მოიცავს საგნის არჩევას და გადარჩევის პროცესს.
- 2.6. ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის კონცენტრაციის არჩევა ხდება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ხელშეკრულების გაფორმების დროს.
- 2.7. უნივერსიტეტის მიერ განისაზღვრება საგანზე/სასწავლო კურსზე სტუდენტთა დასაშვები მაქსიმალური და მინიმალური ოდენობა.

მუხლი 3. სწავლის ხანგრძლივობა და აკადემიური კალენდარი

- 3.1. სწავლა გრძელდება, როგორც წესი, 4 სასწავლო სემესტრის/მოდულის განმავლობაში.
- 3.2. სემესტრის/მოდულის დაწყებისა და დასრულების თარიღები განისაზღვრება პროგრამის სალექციო ცხრილით, რომელიც ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.freeuni.edu.ge).
- 3.3. როგორც წესი, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეების განმავლობაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს.
- 3.4. სასწავლო პროცესი წყდება და სტუდენტი ისვენებს წელიწადში ორჯერ - ზამთარსა და ზაფხულში. დასვენების კონკრეტული ვადები იცვლება სალექციო ცხრილის ცვლილების შესაბამისად და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)

- 4.1. სამაგისტრო პროგრამები, როგორც წესი, შედგება სემესტრებისგან/მოდულებისგან, რომლებიც დალაგებულია თანმიმდევრულად, შინაარსის მიხედვით.
- 4.2. სასწავლო პროგრამის ცვლილება შესაძლებელია მოხდეს უნივერსიტეტის რექტორის მიერ, რაც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მუხლი 5. სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება

- 5.1. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას, სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და სწავლის შედეგების მიღწევის ფაქტს.
- 5.2. ერთი სასწავლო წლის მანძილზე (2 სემესტრის/2 მოდულის განმავლობაში) სტუდენტი შეიძლება იყოს რეგისტრირებული საგნებზე (საგანში როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში), რომელთა კრედიტების ჯამური რაოდენობა არ აღემატება 75 კრედიტს.
- 5.3. კრედიტი იანგარიშება საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების ჯამის საფუძველზე სილაბუსების შესაბამისად:
 - 5.3.1. კრედიტით გათვალისწინებული საკონტაქტო საათები შეიძლება იანგარიშებოდეს ლექციების, სემინარების, ტუტორიალების, ინტერაქციული ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობისათვის, ლაბორატორიული კვლევისთვის, ასევე შესაბამისი შუალედური და დასკვნითი შეფასების განკუთვნილი საათებით.
 - 5.3.2. კრედიტით გათვალისწინებული დამოუკიდებელი სამუშაო საათები, როგორც წესი, იანგარიშება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის შესწავლისა და შესაბამისი შუალედური და დასკვნითი შეფასებების მომზადებისათვის საჭირო დროის საფუძველზე.
- 5.4. სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტი გულისხმობს საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით დასრულებას (დადებითი შეფასების მიღებას).
- 5.5. სტუდენტს კრედიტები ენიჭება მხოლოდ საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შედეგად ან აღიარებული საგნებისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ECTS კრედიტების ტრანსფერი

- 6.1. სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ECTS კრედიტები შესაძლებელია აღიარებული იქნეს უნივერსიტეტის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 6.2. კრედიტის აღიარების თხოვნით სტუდენტმა უნდა მიმართოს შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციას.
- 6.3. უნივერსიტეტმა შესაძლებელია მოითხოვოს სტუდენტის მიერ საგნის/სასწავლო კურსის ათვისების ფაქტობრივი დადასტურება, რისი ფორმაც შესაძლებელია იყოს გამოცდა, დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა და სხვა.
- 6.4. უნივერსიტეტი ავტომატურად აღიარებს იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კრედიტებს, რომელთანაც გააჩნია შესაბამისი ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 7. შეფასება და აკადემიური მოსწრების გამოთვლა

- 7.1. არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - 7.1.1. (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%;
 - 7.1.2. (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;
 - 7.1.3. (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%;
 - 7.1.4. (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;
 - 7.1.5. (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%.
- 7.2. არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

7.2.1. (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;

7.2.2. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7.3. სტუდენტის ცოდნა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებით. დასკვნითი შეფასება არის სავალდებულო. თუ სტუდენტი არ მიიღებს დასკვნით შეფასებას, მას კურსი არ ჩაეთვლება გავლილად.

7.4. განმეორებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის/დავალების შედეგების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 5 დღეში.

7.5. სტუდენტს შეუძლია გავიდეს განმეორებით გამოცდაზე ან გაიმეოროს დასკვნითი დავალება, თუ მან გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის/დავალების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგად უგროვდება 41 და მეტი ქულა/% (მათ შორის, შესაძლოა 41-ზე მეტი სილაბუსის შეფასების სისტემის შესაბამისად). ასევე, სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს განმეორებით დასკვნით გამოცდაზე, ან გაიმეოროს დასკვნითი დავალება, თუ მან გადალახა შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და ორივე შეფასების შედეგად უგროვდება 41 – 50 ქულა/%.

7.6. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და მიიღო 7.1 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებითი შეფასება.

7.7. მიღებული დადებითი შეფასების გაუმჯობესების მიზნით, საგნის/სასწავლო კურსის განმეორებით გავლისათვის სტუდენტმა წერილობით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს. ასეთ შემთხვევაში, განმეორებით გავლილ საგანში საბოლოო შეფასება იქნება სტუდენტის მიერ ბოლოჯერ მიღებული შეფასება.

7.8. საგნით/სასწავლო კურსით გათვალისწინებული შეფასების რომელიმე კომპონენტის შესრულების შეუძლებლობის (გადაუდებელი სასწავლო ვიზიტი და სამსახურებრივი მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) შემთხვევაში სტუდენტი წინასწარ მიმართავს შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციას ელექტრონულ ფოსტაზე, უშუალოდ ამ შეფასების კომპონენტის დადგომამდე. აღნიშნული წარმოადგენს შეფასების აღდგენის აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის წინაპირობას.

7.9. სტუდენტი ვალდებულია შეფასების კომპონენტის შესრულების შეუძლებლობა დაადასტუროს დოკუმენტურად, შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციისგან მიღებული კონსულტაციის თანახმად.

7.10. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სასწავლო კურსში/საგანში ჩაატაროს ნებისმიერი ფორმის შუალედური და დასკვნითი შეფასება.

7.11. საგნის/სასწავლო კურსის სილაბუსით დადგენილი წერითი გამოცდები/ქვიზები, როგორც წესი, ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში, „გამოცდების ჩატარების წესის“ შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაცია, ლექტორი და სტუდენტი ვალდებული არიან დაიცვან „გამოცდების ჩატარების წესი“.

7.12. სტუდენტის მიერ მიღებული ყველა შეფასება რეგისტრაციის, ზუსტი აღრიცხვისა და აკადემიური მოსწრების გამოთვლის მიზნით გადაეცემა შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციასა და

უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისს. გამოცდის შედეგებს სტუდენტი ეცნობა შეფასების ელექტრონულ სისტემაში (EMIS).

7.13. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მიიჩნევს, რომ მის შუალედურ და/ან დასკვნით შეფასებაში არის ხარვეზი მას შეუძლია EMIS-ზე მისი ქულების განთავსებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში მიმართოს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორს/საგნის კურატორს, შეავსოს სააპელაციო ფორმა და შევსებული სააპელაციო ფორმა იმეილის მეშვეობით გაუგზავნოს კოორდინატორს/საგნის კურატორს. სააპელაციო ფორმაში სტუდენტმა უნდა ჩამოაყალიბოს დაეჭვების საფუძველი.

7.14. სტუდენტმა სააპელაციო ფორმაში უნდა ჩამოაყალიბოს ვარაუდის დასაბუთება, უნდა ახსნას თუ რატომ მიიჩნევს, რომ იმსახურებს განსხვავებულ შეფასებას.

7.15. სტუდენტის მიერ სააპელაციო ფორმით წარმოდგენილი დასაბუთება უნდა იყოს კონკრეტული. შეფასების გადახედვის პროცესს დაექვემდებარება მხოლოდ დასაბუთებული განცხადება. პროგრამის კოორდინატორი/საგნის კურატორი სწორად (დასაბუთებით) შევსებულ სააპელაციო ფორმას მიაწვდის შესაბამისი საგნის ლექტორს.

7.16. თუკი შესაბამისი საგნის ლექტორი ჩათვლის რომ ვარაუდი საფუძვლიანია, ის კიდევ ერთხელ გადაამოწმებს სტუდენტის ნაშრომს/დავალებას და აცნობებს მას, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო სტუდენტის პრეტენზია და შეიცავდა თუ არა შეფასება ხარვეზს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ლექტორთან ერთად საკითხის განხილვა.

7.17. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ დაკმაყოფილდა ლექტორის წარმოდგენილი პასუხით, მას შეუძლია ლექტორის მიერ გადაწყვეტილების სტუდენტისთვის შეტყობინებიდან 5 კალენდარულ დღის ვადაში წერილობით (ელ-ფოსტის) მიმართოს შესაბამის საგნის კურატორ დეკანს და წარუდგინოს შეფასების დაეჭვების საფუძველი და ვარაუდის დასაბუთება.

7.18. თუკი საგნის კურატორი დეკანი მიიჩნევს, რომ ვარაუდი საფუძვლიანია, ის შეისწავლის საკითხს და შედეგად, ან საფუძვლიანად მიიჩნევს ლექტორის პირველად შეფასებას, რომელიც შეუცვლელი რჩება, ან მიმართავს შესაბამის ლექტორს ნაშრომის/დავალების გადახედვის თხოვნით და სათანადო მითითებით. საკითხის შესწავლის მიზნით საგნის კურატორ დეკანს/საგნის კურატორ პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია საჭიროების და შესაძლებლობის შემთხვევაში, გაიაროს კონსულტაცია უნივერსიტეტის სხვა პირებთან ან/და გამოიყენოს ალტერნატიული შეფასების მეთოდი უნივერსიტეტის თემატურად კომპეტენტური პირ(ებ)ის მონაწილეობით.

7.19. საგნის კურატორ დეკანის/საგნის კურატორის პროგრამის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება საბოლოოა.

7.20. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით, სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ლექტორი უფლებამოსილია შეიმუშაოს სტუდენტის შეფასების საკუთარი სისტემა, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ წესებს და დეტალურად იყოს ასახული კონკრეტული საგნის/სასწავლო კურსის სილაბუსში.

7.21. თუ სტუდენტმა ვერ გადალახა შუალედური შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ან არ გამოცხადდა დასკვნით გამოცდაზე/არ წარმოადგინა დასკვნითი შეფასებით გათვალისწინებული სამუშაო, იგი ფასდება 0 ქულით.

7.22. თუ სტუდენტს საგანში მიღებული აქვს F შეფასება, იგი საგანს განმეორებით შეისწავლის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი განრიგის შესაბამისად.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

8.1. სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერებულ იქნეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

8.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა.

ბ) აკადემიური შვებულება.

გ) სტუდენტის პირადი განცხადება.

დ) უნივერსიტეტისადმი ფინანსური დავალიანების არსებობა.

ე) სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება.

ვ) თუ მაგისტრატურის სტუდენტი სწავლის დაწყებიდან 6 სემესტრის განმავლობაში ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისი ოდენობის კრედიტებს.

8.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი და გამოიცემა შესაბამისი ბრძანება.

8.4. სტუდენტის აკადემიური შვებულების საფუძველია:

ა) საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა.

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახური.

გ) ხანგრძლივი შრომისუუნარობა.

დ) ოჯახური პირობები/გარემოებები.

ე) პირადი განცხადება (მათ შორის, მიზეზის მითითების გარეშე).

8.5. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელსაც სურს დროებით არ ისარგებლოს უნივერსიტეტის მომსახურებით, ვალდებულია სტუდენტის სტატუსის შეჩერების/აკადემიური შვებულების აღების თაობაზე წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

8.6. თუ სტუდენტი 8.5 პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს, სასწავლო სემესტრის/მოდულის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, სტუდენტს არ დაეკისრება მიმდინარე სასწავლო სემესტრის/მოდულის სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება და გაუუქმდება მიმდინარე სემესტრში/მოდულში რეგისტრირებული საგნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.7. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი სტუდენტი, რომელიც სტუდენტის სტატუსის შეჩერების/აკადემიური შვებულების აღების შესახებ განცხადებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს სასწავლო სემესტრის/მოდულის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ, სემესტრის მომსახურება ჩაეთვლება მიწოდებულად და არ გაუუქმდება მიმდინარე სემესტრში/მოდულში არჩეული და სავალდებულოდ რეგისტრირებული საგნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.8. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობაში.

8.9. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურისა და სემესტრულად წარმოქმნილი სხვა ფინანსური ვალდებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, იგი კარგავს შეფასებების მიღების უფლებას და უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი.

8.10. სტატუსის აღდგენის მიზნით, სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას შესაბამისი სემესტრის/მოდულის დაწყებამდე.

8.11. სტუდენტს სტატუსი აღუდგება უახლოესი სემესტრის/მოდულის დაწყებამდე. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგ, შესაბამისი სასწავლო წლის პირობებით სწავლის გაგრძელების მიზნით, სტუდენტი ვალდებულია მიმართოს უნივერსიტეტს და გააფორმოს ხელშეკრულება მიმდინარე წლის პირობებით.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

9.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) პირადი განცხადება;

დ) სტუდენტის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც გამორიცხავს სტუდენტის მონაწილეობის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში;

ე) სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის საფუძველზე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება;

ვ) გარდაცვალება.

9.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტის ეთიკის კოდექსის შესაბამისი მუხლების დარღვევის გამო სტუდენტს შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი და ასევე, გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

9.3. აკრძალულია უნივერსიტეტში არსებულ ნებისმიერი ტიპის პროგრამაზე იმ პირის მიღება, რომელსაც სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო შეუწყდა სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 10. სამაგისტრო პროგრამის გაუქმება და მობილობა

10.1. სასწავლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტს უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამას.

10.2. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის უფლებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების შესაბამისად.

10.3. შიდა და გარე მობილობის პროცესის ორგანიზება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული შიდა და გარე მობილობის წესების შესაბამისად.

10.4. შიდა ან გარე მობილობის წარმატებით გავლის შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტს ჩარიცხავს შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე და მიაკუთვნებს შესაბამისი აკადემიური წლის მიღებას სტუდენტის აკადემიური მოსწრების/კრედიტების გათვალისწინებით. უნივერსიტეტი წყვეტს თუ რომელი აკადემიური წლის მიღებას მიაკუთვნოს სტუდენტი შიდა და გარე მობილობისას.

10.5. გარე და შიდა მობილობისას სტუდენტი ფარავს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამისათვის დადგენილი სწავლის საფასურს და სწავლის საფასურთან ერთად

უნივერსიტეტის წინაშე წარმოქმნილ სხვა ნებისმიერ ფინანსურ ვალდებულებას ხელშეკრულების შესაბამისად.

10.6. თუ სტუდენტი სწავლობს პროგრამაზე, რომელზეც სწავლის საფასური არის ნაკლები, ვიდრე იმ პროგრამაზე, რომელზეც სტუდენტს სურს შიდა მობილობით გადასვლა, სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ გავლილი სემესტრების/მოდულების რაოდენობის შესაბამისი განსხვავება სწავლის საფასურში. ამასთან, სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის იმ აკადემიური წლის მიღების სტუდენტების მსგავსად, რომელსაც უნივერსიტეტმა მიაკუთვნა მობილობისას.

10.7. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სწავლობს პროგრამაზე, რომელზეც სწავლის საფასური არის მეტი, ვიდრე იმ პროგრამაზე, რომელზეც სტუდენტს სურს შიდა მობილობით გადასვლა და თან გასავლელი აქვს წინა სემესტრებით/მოდულებით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, აღნიშნული ჩაითვლება დამატებით კრედიტებად და კრედიტის საფასური განისაზღვრება გადახდის მომენტისათვის დადგენილი ოდენობით. ამასთან, სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის იმ აკადემიური წლის მიღების სტუდენტების მსგავსად, რომელსაც უნივერსიტეტმა მიაკუთვნა მობილობისას.

10.8. იმ შემთხვევაში თუ გარე მობილობით მიღებულ სტუდენტს გასავლელი აქვს წინა სემესტრებით/მოდულებით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, აღნიშნული ჩაითვლება დამატებით კრედიტებად და კრედიტის საფასური განისაზღვრება გადახდის მომენტისათვის დადგენილი ოდენობით.

10.9. გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი საგნები შესაძლებელია აღიარებულ იქნეს უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, გარე მობილობით გადმოსული სტუდენტისათვის აღიარებულ საგანს ენიჭება იმდენი კრედიტი, რამდენიც გათვალისწინებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მსგავსი/ეკვივალენტი საგნით.

10.10. კრედიტის აღიარების თხოვნით სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის შესაბამის სკოლას.

10.11. გარე მობილობის მსურველმა პირმა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს დოკუმენტები, რომლის ჩამონათვალიც უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე გამოქვეყნებული მობილობის კრიტერიუმებით იქნება გათვალისწინებული.

10.12. მობილობის შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს სტუდენტის მიერ საგნის/სასწავლო კურსის ათვისების ფაქტობრივი დადასტურება, რისი ფორმაც არის გასაუბრება, ზეპირი ან წერილობითი გამოცდა, ესეი, ტესტირება, დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, ან/და „გამოცდების ჩატარების წესით“ დადგენილი შეფასების სხვა ფორმები.

მუხლი 11. უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსება

11.1. სწავლის საფასურს სტუდენტი სრულად ფარავს პროგრამით დადგენილი სემესტრების/მოდულების განმავლობაში, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

11.2. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს უშუალოდ სტუდენტის მიერ.

11.3. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად: ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს, ხოლო მეორე - უნივერსიტეტს.

11.4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, თუ ამით უმჯობესდება სტუდენტის მდგომარეობა. ასევე იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა ცვლილება უნივერსიტეტის წესდებაში, სტუდენტის ეთიკის კოდექსში, გამოცდების ჩატარების წესსა და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელ აქტებში.

11.5. პროგრამის დასრულება შესაძლებელია სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მიღების (მათ შორის, პროგრამით დადგენილი სავალდებულო საგნებში დადებითი შეფასების მიღების), პროგრამით დადგენილი სემესტრების/მოდულების სწავლის საფასურის და, ასევე, უნივერსიტეტის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის ფინანსური ვალდებულების გადახდის საფუძველზე.

11.6. სტუდენტის ყოველსემესტრულად/მოდულების/კვარტლების მიხედვით გადასახდელი თანხა შეიძლება მოიცავდეს:

- ა) სწავლის საფასურს სამაგისტრო პროგრამისათვის დადგენილი სემესტრების/მოდულების რაოდენობის გათვალისწინებით;
- ბ) დამატებითი კრედიტების საფასურს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გ) სხვა ნებისმიერ ფინანსურ ვალდებულებას, რომელიც სტუდენტს წარმოექმნა უნივერსიტეტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დ) მობილობის ან აკადემიური შვებულებიდან დაბრუნების შემთხვევაში წინამდებარე დებულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

11.7. სემესტრული/მოდულის/კვარტლის საფასური ფარავს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი სემესტრით გათვალისწინებულ საგნებს მიუხედავად იმისა, თუ რომელ სემესტრში გაივლის ამ საგნებს სტუდენტი მათ მისი აკადემიური მოსწრების მდგომარეობის გათვალისწინებით.

11.8. სემესტრული/მოდულის/კვარტლის საფასური არ მოიცავს დამატებითი კრედიტის საფასურს. დამატებითი კრედიტი წარმოიშვება, როდესაც:

- ა) რომელიმე საგანში სტუდენტი ჩაიჭრა (F შეფასება) და შესაბამის საგანს განმეორებით გაივლის.
- ბ) სტუდენტი განმეორებით გადის რომელიმე საგანს, მიღებული დადებითი შეფასების გაუმჯობესებისათვის.
- გ) სტუდენტი გადის საგანს, რომელიც მისი პროგრამისათვის არის სავალდებულო საგანი, თუმცა სემესტრული გეგმით/კურიკულუმით გათვალისწინებული იყო პროგრამის იმ სემესტრში/მოდულში, რომელშიც ეს სტუდენტი ამ პროგრამაზე არ სწავლობდა (ან ამ სტუდენტს ამ პროგრამაზე არ ჰქონდა აქტიური სტატუსი).

11.9. დამატებითი კრედიტის საფასური ყოველსემესტრულად განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი აქტით, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

11.10. დამატებითი კრედიტის საფასური განისაზღვრება სტუდენტის მიერ საგნის გავლის (უარყოფითი თუ დადებითი შეფასების მიღებისაგან დამოუკიდებლად) მომენტისათვის დადგენილი ოდენობით.

11.11. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გაზარდოს სტუდენტის სწავლის საფასური, მაგრამ არა უმეტეს წინა სასწავლო წლის საფასურის 12%-ის ოდენობით.

11.12. სტუდენტის სწავლის საფასური შეიძლება გაიზარდოს 12%-ზე მეტით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წლიური ინფლაცია ან/და ეროვნული ვალუტის დევალვაცია დოლართან მიმართებაში ოფიციალური მონაცემებით, გადააჭარბებს 12%-ს.

11.13. სტუდენტს აკადემიური ხარისხი ენიჭება სკოლის საბჭოს მიერ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების მიღების შემთხვევაში. თუ სტუდენტი აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის ყველა აკადემიურ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, თუმცა ამასთანავე მას ექნება ფინანსური დავალიანება უნივერსიტეტის მიმართ, უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუჩეროს აქტიური სტატუსი დამატებითი გაფრთხილების გარეშე, ვალდებულების სრულად დაფარვამდე და შედეგად სტუდენტს ვერ მიენიჭება აკადემიური ხარისხი.

მუხლი 12. უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტები

12.1. ნებისმიერ სტუდენტს ან კურსდამთავრებულს შეუძლია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიიღოს მის მიერ მიღებული შეფასებების ფურცელი და სხვა ცნობები.

12.2. სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი გასცემს დამოწმებულ ცნობას სტუდენტის სტატუსის შესახებ. ცნობა გაიცემა სწავლის ფაქტის დასადასტურებლად, მიღებული შეფასებების დასადასტურებლად, GPA-ის დასადასტურებლად და სტუდენტის შესახებ უნივერსიტეტის ხელთ არსებული სხვა ინფორმაციის დასადასტურებლად.

მუხლი 13. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სტუდენტის ელექტრონული ფოსტა

13.1. საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.freeuni.edu.ge.

13.2. სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად გაეცნოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას და თვალ-ყური ადევნოს სიახლეებსა და ცვლილებებს.

13.3. უნივერსიტეტი თითოეული სტუდენტისათვის ქმნის საუნივერსიტეტო პერსონალურ ელექტრონულ ფოსტას, რომლის მეშვეობითაც უნივერსიტეტი სტუდენტს უზრუნველყოფს მნიშვნელოვან შეტყობინებებს და სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად გაეცნოს ელექტრონულ ფოსტას. სტუდენტისთვის საუნივერსიტეტო პერსონალურ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება ითვლება ინფორმაციის მოწოდებად/ჩაბარებად.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებანი

14.1. სასწავლო პროცესის დახვეწისა და უკეთ ორგანიზების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს სამაგისტრო პროგრამის დებულების ცვლილებებს. დებულების ცვლილებები ექვემდებარება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას.

14.2. სამაგისტრო პროგრამის დებულების რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს დანარჩენი ნორმების იურიდიულ ძალაზე.